სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

თებერვალი 2019

2019 წლის თებერვალში, 2019 წლის იანვართან შედარებით, საქართველოში სასტუმროს ფასების ინდექსი 1.7%-ით შემცირდა. თბილისში სასტუმროს ფასების კლებამ 1.9% შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში სასტუმროს ფასების შემცირება, შესაძლოა, დავუკავშიროთ შემცირებულ ტურისტულ ვიზიტებს. 2019 წლის თებერვალში, 2019 წლის იანვრის თვესთან შედარებით, საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები 11.2%-ით შემცირდა, მათ შორის ტურისტული ვიზიტები - 19%-ით.

2019 წლის თებერვალში, 2018 წლის თებერვალთან შედარებით, საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები 0.4%-ით შემცირდა, თუმცა ტურისტული ვიზიტების რიცხვი 5.1%-ით გაიზარდა. აღნიშნულს დადებითად უნდა ემოქმედა საქართველოში სასტუმროების ფასების ზრდაზე. თუმცა 2019 წლის თებერვალში, 2018 წლის თებერვალთან შედარებით, საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი უმნიშვნელოდ 0.4%-ით შემცირდა. აღნიშნული ძირითადად განაპირობა საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების შემცირებამ. მაშინ როცა 3, 4 და 5 ვარკვლავიანი სასტუმროების ფასები 2.2%-ით გაიზარდა, საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების კლებამ 2.9% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა საქართველოში 3.2 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. ქვეყნების მიხედვით, ყველაზე მეტი შემოსავალი საქართველომ რუსეთიდან მიიღო - 26.3% (842 მლნ აშშ დოლარი), შემდეგ მოდის თურქეთი - 13.7% (437 მლნ აშშ დოლარი) და ევროკავშირის ქვეყნები - 12.3% (394 მლნ აშშ დოლარი). აღსანიშნავია, რომ 2017 წელთან შედარებით, 2018 წელს, საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულ შემოსავალში თურქეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთის და ირანის წილები შემცირდა, მაშინ როცა რუსეთის, ევროკავშირის ქვეყნების და ირანის გაიზარდა.

სასტუმროების საშუალო ფასები

2019 წლის თებერვალში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **122 ლარი** შეადგინა. 3-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის ყველაზე მაღალი საშუალო ფასი რეგიონებს შორის მცხეთა-მთიანეთში - 200 ლარი დაფიქსირდა.

4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა თებერვალში **221 ლარი** შეადგინა. 4-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის, ყველაზე მაღალი საშუალო ფასი მცხეთა-მთიანეთში - 322 ლარი დაფიქსირდა.



გრაფიკი 1: მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა თებერვალში **488 ლარი** შეადგინა. თბილისში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 601 ლარი შეადგინა, აჭარაში - 475 ლარი, სამცხე-ჯავახეთში - 383 ლარი, ხოლო კახეთში - 353 ლარი.

საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა თებერვალში **69 ლარი** შეადგინა. ყველაზე მაღალი ფასი საოჯახო ტიპის სასტუმროებში გურიაში - 106 ლარი დაფიქსირდა.

სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2019 წლის თებერვალში, 2019 წლის იანვრის თვესთან შედარებით, 1.7%-ით შემცირდა. სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასები ყველაზე მეტად გურიაში (-4.6%) და ქვემო ქართლში შემცირდა (-4.3%). თბილისში სასტუმროების ფასების კლებამ 1.9% შეადგინა.

საქართველოს ათ რეგიონს და თბილისს შორის, 2019 წლის თებერვალში, 2019 წლის იანვართან შედარებით, სასტუმროს ფასები მხოლოდ კახეთის რეგიონში გაიზარდა უმნიშვნელოდ (0.6%).

საქართველოში 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 2019 წლის თებერვალში, 2019 წლის იანვართან შედარებით, 1.8%-ით შემცირდა. ამ ტიპის სასტუმროებში ფასები ყველაზე მეტად ქვემო ქართლში და გურიაში შემცირდა.თბილისში 3, 4 და 5* სასტუმროების ფასების კლებამ 2.1% შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში, 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ზრდა მხოლოდ კახეთში დაფიქსირდა.

საქართველოში საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 2019 წლის თებერვალში, 2019 წლის იანვართან შედარებით, 1.7%-ით შემცირდა. მსგავსად 3, 4, და 5* სასტუმროებისა, რეგიონების მიხედვით, ფასები ყველაზე მეტად გურიაში და ქვემო ქართლში შემცირდა. საოჯახო ტიპის სასტუმროებში, 2019 წლის თებერვალში, 2019 წლის იანვართან შედარებით, ფასები საქართველოს არც ერთ რეგიონში არ გაზრდილა. თბილისში საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების კლებამ 1.1% შეადგინა.

სასტუმროს ფასების შემცირება 2019 წლის თებერვალში, 2019 წლის იანვართან შედარებით, შესაძლოა გარკვეულწილად ავხსნათ შემცირებული ტურისტული ვიზიტების რაოდენობით. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის თებერვალში, 2019 წლის იანვრის თვესთან შედარებით, საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები 11.2%-ით შემცირდა, მათ შორის ტურისტული ვიზიტები - 19%-ით[4].

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი 2019 წლის თებერვალში, 2018 წლის თებერვალთან შედარებით, უმნიშვნელოდ 0.4%-ით შემცირდა. აღნიშნული ძირითადად განაპირობა საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების კლებამ.მოცემულ პერიოდში, სასტუმროების სტანდარტული ორ ადგლიანი ნომრების ფასები ყველაზე მეტად შიდა ქართლში (-7.2%) და რაჭაში (-6.4%) შემცირდა. თბილისში სასტუმროების ფასების კლებამ 4.3% შეადგინა. 2019 წლის თებერვალში, 2018 წლის თებერვალთან შედარებით სასტუმროების ფასები აჭარაში (6.9%), სამცხე-ჯავახეთში (5.5%), გურიაში (5.1%) და მცხეთა-მთიანეთში (2%) გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის თებერვალში, 2018 წლის თებერვალთან შედარებით, საქართველოში საერთაშორისო მოგზაურთა ვიზიტები 0.4%-ით შემცირდა, თუმცა ტურისტული ვიზიტების რიცხვი 5.1%-ით გაიზარდა.

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2019 თებ/ 2019 იან	2019 თებ/ 2018 თებ	2019 თებ/ 2019 იან	2019 თებ/ 2018 თებ	2019 თებ/ 2019 იან	2019 თებ/ 2018 თებ
გურია	-4.6%	5.1%	-3.6%	-7.2%	-5.6%	12.8%
ქვემო ქართლი	-4.3%	-2.2%	-3.9%	-3.9%	-4.6%	0.1%
იმერეთი	-3.2%	-3.1%	-3.5%	-7.9%	-3.0%	0.7%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-2.0%	-3.4%	-1.1%	12.8%	-2.3%	-11.3%
თბილისი	-1.9%	-4.3%	-2.1%	-4.5%	-1.1%	-3.4%
აჭარა	-1.8%	6.9%	-1.0%	15.8%	-2.9%	-4.1%
სამცხე-ჯავახეთი	-1.5%	5.5%	-0.8%	20.0%	-1.9%	-1.2%
შიდა ქართლი	-0.7%	-7.2%			-0.7%	-7.2%
მცხეთა-მთიანეთი	-0.7%	2.0%	-0.5%	1.2%	-0.9%	3.0%
რაჭა	-0.3%	-6.4%			-0.3%	-6.4%
კახეთი	0.6%	-5.0%	3.8%		-0.4%	3.3%
სულ ფასების % ცვლილება	-1.7%	-0.4%	-1.8%	2.2%	-1.7%	-2.9%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2019 წლის თებერვალში, 2019 წლის იანვრის ფასებთან შედარებით და 2018 წლის თებერვლის ფასებთან შედარებით

საქართველოში 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 2019 წლის თებერვალში, 2018 წლის თებერვალთან შედარებით, 2.2%-ით გაიზარდა. ამ ტიპის სასტუმროებში ფასები ყველაზე მეტად სამცხე-ჯავახეთში და აჭარაში გაიზარდა. თბილისში, 2019 წლის თებერვალში, 2018 წლის თებერვალთან შედარებით, 3, 4 და 5* სასტუმროების ფასები 4.5%-ით შემცირდა.

საქართველოში საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 2019 წლის თებერვალში, 2018 წლის თებერვალთან შედარებით, 2.9%-ით შემცირდა. რეგიონების მიხედვით, ფასები ყველაზე მეტად სამეგრელო-ზემო სვანეთში და რაჭაში შემცირდა. მოცემულ პერიოდში, თბილისში, საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების კლებამ 3.4% შეადგინა.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები

	2016	I 2017	II 2017	III 2017	IV 2017	2017	I 2018	II 2018	III 2018	IV 2018
1	1978.3	450	544.3	642.6	569.8	2206.7	522.9	642.5	781.9	
2	6720	1378.1	1757	2969.9	1797.5	7902.5	1582.4	1979.6	3226.4	1891.1
3	3297.3	665	908.9	1629.9	865.7	4069.4	839.5	1094.2	1838.3	984.7
4	2166.3	425.7	629.9	1078.3	570.5	2704.3	550.7*	810*	1210.6*	
5	386.3	81.4	109.5	152	120.7	463.6	105.9*	126.4*	149.9*	
6	56.1	7.1	25.1	29.7	10.3	72.2	25.5*	-6.5*	36*	

1 ტურიზმის სფეროებში შექმნილი დამატებითი ღირებულება (მლნ. ლარი)
2 საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი კაცი)
3 ტურისტების რაოდენობა (24 საათი და მეტი, ათასი კაცი)
4 შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან (მლნ. აშშ დოლარი)
5 საქართველოს მოქალაქეების ტურისტული დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ. აშშ დოლარი)
6 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სასტუმროების და რესტორნების სექტორში (მლნ. აშშ დოლარი)

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3, 4, 5 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3, 4, 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.
2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.
3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით. (Consumer Price Index Manual-Theory and Practice(2004), Practical Guide to Producing Consumer Price Indices (2009).
4 წყარო: GNTA
5 * წინასწარი მონაცემები